ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო

პროექტი“იძულებით გადაადგილებულ პირთა ინიციატივა”

/იძულებით გაადგილეულ პირთა–დევნილთა საჭიროედბების/პრობლემის ადვოკატირების ერთიანი დოკუმენტი/

2018 წელი

წარმოდგენილი ფოკუს ჯგუფის ანგარიში მომზადებულია, პროექტის „იძლებით გადაადგილებულ პირთა ინიციატივა" ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია ლტოლვილთა დანიის საბჭოს და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ფონდის (CISU) მიერ პროექტის „სამართლიანი საზოგადოებისკენ" ფარგლებში.

პროექტის შესახებ:

პროექტის მიზანს წარმოადგენს: იძულებით გადაადგილებულ პირთა ადგილობრივ თემებში ინტეგრაციის ხელშეწყობა, მდგრად საარსებო წყაროებზე ინფორმაციის მიწოდებისა და მუნიციპალიტეტების შესაძლებლობების გაზრდის გზით, პრობლემების ერთობლივი ადვოკატირება და გადაწყვეტილების მიმღებ უწყებებთან ჩართულობისა და დიალოგის ხელშეწყობა.

პროექტის აქტივობები:

1. **კომპაქტური ცენტრების შერჩევა ქუთაისის მუნიციპალიტეტებში –** აღნიშნულ მუნიციპალიტეტბში კომპაქტური ცენტრების შერჩევა მოხდა წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით, კერძოდ: 1.რეაბილიტირებული/ახლადაშენებული და პრივატიზებული კომპაქტური ცენტრები; 2. კომპაქტური ცენტრები, სადაც დევნილი ოჯახების რაოდენობა 40–ზე მეტია; 3. კომპაქტური ცენტრები, სადაც ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობაუკვე შექმნილია; (ეს ნაწილი ძველში იყო და გიას გამო ვერ გავიგე დავტოვო და ამოვიგო?) აღნიშნული კრიტერიუმების ერთობლიობით შეირჩა ქუთაისის მუნიციპალიტეტში 6 იძულებით გადაადგილებულ პირთა–დევნილთა კომპაქტური ცენტრი[1].
2. **პროექტის პირველ ეტაპზე** ქუთაისის მუნიციპალიტეტის 6 (ექვსი) დევნილთა დასახლების (ბმა-სა და სათემო ორგანიზაციის) 2-2 წარმომადგენელს (ბმა „მეგობრობა"; ბმა „განთიადი"; სათემო ორგანიზაცია „მერცხალი"; სათემო ორგანიზაცია „თოლია"; ბმა „რიწა"; ბმა „ნართა"), ჩაუტარდათ 2 დღიანი ტრენინგი (TOT). ტრენინგის დროს მონაწილეებს მიეწოდათ ინფორმაცია ეფექტური ადვოკატირების კამპანიის დაგეგმვისა და განხორციელების გზების შესახებ, ასევე მოქალაქეების ჩართულობის უპირატესობების, მნიშვნელობის და შესაბამისი სამართლებრივი გარემოს, ასევე ლიდერობისა და ჩართულობის მექანიზმების კომპლექტისა და მათი განხორციელების გზების შესახებ. ჯამში სულ გადამზადდა 12 ადამიანი.
3. **ტრენინგების ჩატარება ეფექტური საადვოკაციო კამპანიის წარმოებაზე–** პროექტი ფარგლებში, მას შემდეგ რაც ფოკუს ჯგუფის ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა დევნილთა კონკრეტული საჭიროებები, ფოკუს ჯგუფის მონაწილეებს მიეწოდათ ინფორმაცია საადვოკაციო კამპანიის წარმოების ტექნიკაზე, რათა მათი ჩართულობა კიდევ უფრო გაიზარდოს მუნიციპალურ დონეზე. შემუშავდა სამოქმედო გეგმები, სადაც მიეთითა ასევე კონკრეტულ აქტივობების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები. ჯამში სულ 6 ტრენინგი, ტრენინგს ესწრებოდა 15 ადამიანი.
4. **შეიქმნა სამუშაო ჯგუფები** - სამუშაო ჯგუფის შექმნის მიზანი იყო შეიქმნას საუკეთესო პრეცედენტი პრობლემათა ეფექტური ადვოკატირების კამპანიის წარმოებისა და გადაწყვეტილების მიმღებ უწყებებთან თანამშრომლობისა და ეფექტური დიალოგის. ჯგუფის შემადგენლობაში შევლენ ტრენინგის აქტიური მონაწილე წევრები. სულ შეიქმნება 6 სამუშაო ჯგუფი, ჯგუფში მინიმუმ ცხრა(9) ადამინაი.
5. **გასვლითი შეხვედრები იძულებით გადაადგილებულ პირთა–დევნილთა კომპაქტურ ცენტრებში და ფოკუს ჯგუფის ინტერვიუები მათი პრობლემების ადვოკატირებისთვის–** ჩატარდა ფოკუს ჯგუფის ინტერვიუები შერჩეულ იძულებით გადაადგილებულ პირთა –დევნილთა კომპაქტურ ცენტრებში, რომლის მიზანი იყო

[1] https://idfi.ge/ge/number-of-provided-living-areas-for-idps

დენილთა წინაშე არსებული პრობლემების ადვოკატირება. კერძოდ ფოკუს-ჯგუფები საშუალებას გვაძლევს, არა მხოლოდ ძალიან ღრმად შევისწავლოთ ესა თუ ის რთული საკითხი, არამედ შევიქმნათ ნათელი წარმოდგენა ამ საკითხის ირგვლივ საზოგადოებაში არსებული აზრთა მრავალფეროვნების შესახებ. ფოკუს-ჯგუფის დროს წარმოქმნილი დისკუსიების შედეგად უკეთ ვლინდება რესპონდენტების დამოკიდებულება გარკვეული სოციალური პრობლემებისადმი, მათი ფსიქოლოგიური განწყობები და ემოციური შეფასებები, რომლებიც ხშირად არც არის შეგნებულად გათვითცნობიერებული რესპონდენტების მიერ. ფოკუს ჯგუფის წევრების შერჩევის დროს დაცული იყო ჰომოგენურობის პრინციპი, კერძოდ სხვადასხვა ასაკის, გამოცდილების ადამიანი ჩაერთვება გამოკითხვის პროცესში, დაცული იქნება გენდერული ბალანსი. ჯამში თითო ფოკუს ჯგუფზე გამოიკითხა 9 ადამიანი. თითოეულ კომპაქტურ ცენტრში ჩატარდა ერთი გამოკითხვა, ჯამში სულ ჩატარდება 6 ფოკუს ჯგუფის ინტერვიუ.

ფოკუს ჯგუფის ძირითადი საკვლევი თემატიკის ბლოკები გახლდათ:

- **კორპუსთან დაკავშირებული საკითხები: მდგრადობა, ინტერიერი და ექსტერიერი/ფასადი, ჭერი, სარდაფი, სადარბაზოები;**
- **კორპუსის შემოგარენი: ეზოს კეთილმოწყობა, ღობე, გარე განათება, პარკინგი;**
- **კორპუსის და მისი შემოგარენის მიმართ უფლებრივი მდგომარეობა, ავტოფარეხები და დამატებითი სათავსოები;**

#	სამანათ ამბანავეობა	შიდა გზის პრობლემა	სადრენაჟო სისტემის და სარდაფის პრობლემა	სამაგალითო გასართობი ატრაქციონები, სკვერი, სათამაშო მოედანი	ეორპუსის გადახურვა/ ეორპუსის სადარბაზოს გადახურვა	ქუჩის სახელოდება და ნუმერაცია	სანიაღვრე/სადრენაჟო სისტემის მოწყობა	ეიდირებული სადარბაზოს კარები	გარე განათების მოწყობა ეზოში	ავეჯები/ეფსტეერიტი	ეორპუსის წყალმიმარაგება	ანტენიანი ჭა	ეზოში, ეზოს სკამების დამატება
1.	ქუთაისი, ც.დადიანის ქუჩა #3												
2.	ქუთაისი, ნიკეას ქუჩა # 21												
3.	ქუთაისი, ზ.ჭავჭავაძის ქუჩა #16ა												
4.	ქუთაისი, ი.ჭავჭავაძის ქუჩა #58												
5.	ქუთაისი, ი.ჭავჭავაძის ქუჩა #58												
6.	ქუთაისი, ი. ოცხელის ქუჩა #2												

1. **ფოკუს-ჯგუფის შეხვდრის ანგარიში - ქ. ქუთაისი ც.დადიანის ქუჩა #3**

ქ. ქუთაისში, დევნილთა კომპაქტურ ცენტრში მდებარე: ქ. ქუთაისი, დადიანის #3; ფოკუს ჯგუფის შეხვედრა 2018 წლის 4 აპრილს გაიმართა

კომპაქტურ ცენტრში მდებარეობს 1 კორპუსი და შექმნილია 1 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა: „**განთიადი**"

კოპუსის შემოგარენი

1. ***ჟოლობები***- ძლიერი ქარისა და წვიმის გამო ჟოლობებში გროვდა ფოთლები, იჭედება მილები და წყალს ვერ ატარებს. წყალი კედლებს ასველებს. სისველისგან სახლებში გაჩნდა ნესტი, ჩამოცვივდა ბათქაში და და დაზიანდა პარაპეტები. ძირითადად ეს პრობლემა იმის ბრალია, რომ ჟოლობები არ არის სწორად დამონტაჟებული და სახურავიდან გადმოსული წყალი არ ჩაედინება მათში. პირიქით კედლებს მოჰყვება. ჩამოდენილი წყალი ასევე გროვდება ბინის პირველ სართულზე და იმის გამო, რომ შენობას არ აქვს სადრენაჟო სისტემა ვერ ხდება დამდგარი წყლის გაწოვა.

   აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მოსახლეობამ მივმართეთ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას, რომელმაც პრობლემის მოგვარების მიზნით მოჭრა ეზოში არსებული ხე, რათა ჟოლობი ფოთლებით არ გაბინდულიყო. თუმცა, იმის გამო რომ ჟოლობები ცუდად არის დამონტაჟებული პრობლემა მაინც მოუგვრებებლი დარჩა და სახურავიდან ჩამოსული წყალი კედლებს აფუჭებს, მაცხოვრებლებისთვის ნესტიან ოთახებში ცხოვრება უფრო და უფრო უჭირთ. მით უმეტეს, რომ ოჯახების უმრავლესობა პენსიონერებისა და შშმ პირებისაგან შედგება.

2. ***ღობე***- მიუხედავად იმისა, რომ არსებული დასახლება არც ისე დიდია მოსახლეობის დიდი სურვილია რომ კორპუს გააჩნდეს ღბე. დასახლებაში ცხოვრობს 19 ბავშვი, რომლებსაც არ აქვთ უსაფრთხო სათამაშო/გასართობი გარემო. ეზოს ირგვლივ სამაქანო გზებია და თუ ბავშვებს სათამაშოდ ეზოსგან მოშორებით მოუწევთ წასვლა მთავარ გზაზე უნდა გავიდნენ სადაც ძალიან დატვირთული საავტომობილო მოძრაობაა.

კორპუსთან დაკავშირებული საკითხები

3. ***დრენაჟი*** - ბინაში აუცილეელია სადრენაჟო სისტემა. როგორც უკვე აღნიშნა ცუდად დამონტაჟებული ჟოლობების გამო სახურავიდან წყალი კედლებს მოჰყვება და წვიმის წყალი გროვდება შენობის პირველ სართულზე რაც დამატებით პრობლემაა. დაგუბებული წყალი აზიანებს კედლებს და არა მარტო ნესტს იწვევს, არამედ პირველ სართულზე მცხოვრებლებისთვის დერეფნებში გადაადგილების პრობლემასაც ქმნის. რესპოდენტები გამოთქვამენ სურვილს, რომ ბინაში აუცილებლად გაკეთდეს სადრენაჟო სისტემა.

4. ***კორპუსის მობინადრეებისთვის ბინის საკუთრებაში გადაცემა***-კოეპუსის მაცხოვრებებლთა უმრავლესობას ბინები საკუთრებაში გადაეცათ. თუმცა არის კიდევ რამდენიმე (ორი) ოჯახი რომელთა სახელზეც არ არის გაპორმებული ის ბინები სადაც ცხოვრობენ. ნესტისა და სირისტისგან გამოწვეული პრობლემების გამო რომელთა ოგვარებაც ვერ ხერხდებოდა მაცხოვრებლებმა ეცადნენ თავიანთი ხარჯებით, როგორმე გაერემონტებინათ ჩამოშლილი კდლები და ჩამოყრილი ბათქაში. თუმცა მათ შეწვიტეს გარემონტება, რაგდან არ აქვთ გარანტია იმისა, რომ ეს ბინები ნამდვილად გადაეცემათ საკუთრებაში.

რესპოდენტებს შეხვედრის ბოლოს ეთხოვათ დასახელებული პრობლემებიდან დაესახელებიდან 3 ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელთა მოგვარებაზე დაიგეგმება ერთობლივი ადვოკატირების კამპანია, ესენია:

1. *ჟოლობების სწორად დაყენება;*
2. *სადრენაჟო სისტემის დამონტაჟება;*
3. *ეზოს კეთილმოწყობა;*

2. ფოკუს-ჯგუფის შეხვედრის ანგარიში -ნიკეას ქუჩა #21

ქ. ქუთაისში, დევნილთა კომპაქტურ ცენტრში მდებარე: ქ.ქუთაისი, ნიკეას ქუჩა#21 ფოკუს ჯგუფის შეხვედრა 2018 წლის 4 აპრილს გაიმართა. კომპაქტურ ცენტრში მდებარეობს 1 კორპუსი და შექმნილია 1 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა: „ნართა“

<u>კორპუსთან დაკავშირებული საკითხები:</u>

სანიაღვრე-სადრენაჟო სისტების მოწყობა- რესპოდენტებმა გამოთქვეს სურვილი რომ კორპუსში მოეწყოს სადრენაჟო სისტემა. წვიმიან ამინდში კორპუსის ირგვლივ გროვდება წყალი და აველებს კედლეს, ნესტმა კედლები გააფუჭა და დააზიანა ბათქაში მეორე სართულის ჩათვლით. რესპოდენტთა თქმით, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში, რამდენჯერმე უწევთ სარდაფში დაგროვილი წყლის ამოტუმბვა. ძლიერი წვიმის დროს წყალი ჩაედინება სარდაფში, რაც თავის მხრივ იწვევს ნესტს, არასასიამოვნო სუნს და შენობის მდგრადობასაც უქმნის საფრთხეს. რესპოდენტების აზრით, აღნიშულ პრობლემის მოგვარების გზა არის სადრენაჟო სისტემის მოწყობა, რაც კორპუსში არ არსებობს და არც არასდროს არსებობდა.

გარე განათების მოწყოა ეზოში- რესპოდენტთა თქმით აუცილებელია ეზოში დაიდგას დამატებითი გარე განათების ბოძები. ეზო დიდია და არ არის საკმარისი ლამპიონები და საღამოობით ჭირს ეზოში გადაადგილება, განსაკუთრებით ზამთარში, როცა ეზოში გუბეები წყლით ივსება. ამ საკითხთან დკავშირებით დასახლების ამხანაგობამ მიმართა ადგილობრივ მუნიციპალიტეტს, მაგრამ ჯერ-ჯერობით პრობლემა მოუგვარებელია.

გადახურვა - კორპუსის სახურავი უხარისხო თუნუქითაა დახურული; ამის გამო მაცხოვრებლებს არაერთხელ შეექმნათ პრობლემა, განსაკუთრებით ბოლო სართულის მობინადრეებს. 2016 წლის ზამთარში დევნილთა სამინისტრომ მოქალაქეთა მოთხოვნის საფუძველზე ნაილობრივ შეარემონტა სახურავი. თუმცა დროთა გამნავლობაში იმის გამო, რომ სახურავი ბოლომდე არ იყო გარემონტრბული თანდათან უფრო გაუარესდა სიტუაცია და წვიმამ და სახურავიდან ჩმოსულმა წყალმა რამდენიმე ოჯახი დააზარალა.

<u>კორპუსის შემოგარენი:</u>

ეზოში არსებული საამქრო - კორპუსის უკან, ოთხ(4) მეტრში მუშაობს ქვის საწარმო რომელიც დიდ საფრთხეს უქმნის მოსახლეობას, იწვევს ხმაურს, საშინელ მტვერს და ანტისანიტარიას. მტვერი აბინძურებს ჰაერს და დიასახლისებს გამუდმებით უწევთ რეცხვა და დასუფთავება. რაც შეეხება საამქროს ირგვლივ არსებულ ქვის გროვებს მათში ჩაბუდებულია ქვეწარმავლები, რაც მაცხოვრებლებისთვის (და ნებისმიერი გამვლელისთვის) საშიშ გარემოს ქმნის, ხელოვნურად გაყვანილი არხის ირგვლივ კი უამრავი მკბენარა მწერებია. ქვის დაყრის პროცესში მთლიანი კორპუსუი ზანზარებს; იმსხვრევა მინები, იბზარება კედლები და შენობის უკანა მხარეს მცხოვრები ოჯახების ბავშვებისთვის ხმაურის გამო მეცადინეობაც შეუძლებელია.

როდესაც დასახლებს მაცხოვრებლებს ბინები გადაეცათ საკუთრებაში სამინისტროსგან მიიღეს დაპირება, რომ საამქროს სხვა ადგილს გამოუყოფდნენ. პრობლემის შესწავლისას დადგინდა, რომ საწარმოს გადატანა დიდ ფინანსურ ხარჯებთან იყო დაკავშირებული და ამიტომ ადგილობრივმა თვითმმართველობამ დევნილთა სამინისტროსთან შეთანხმებით 2017 წლის სექტემბერში თემის ამხანაგობას მოამზადებინა პროექტი, რომლის ღირებულებაც უნდა ასახულიყო ქუთაისის 2018 წლის ბიუჯეტში. სამწუხაროდ ეს გეგმა არ განხორციელდა.

საბავშვო გასართობი ატრაქციონები, სკვერი, სათამაშო მოედანი - რესპოდემტთა თქმით კორპუსში დასახლებულთა რაოდენობის 70% ბავშვია, სამწუხაროდ, არც კორპუსის ეზოში და არც მიმდებარე ტერიტორიაზე არ არის იმგვარი სივრცე სადაც ბავშვები დაცულად და უსაფრთხოდ შეძლებენ თამაშს და დასვენებას. შეხვედრის მონაწილე რესპოდენტებმა გამოთქვეს სურვილი თავიანთი კორპუსის ეზოში მოეწოს საბავშვო ატრაქციონი და სკვერი, ასევე კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე აუცილებელია ძელსკამების დამონტაჟებაც, რომელითაც არამარტო კოპრუსი, არამედ მიმდებარე მოსახლეებაც ისარგებლებს. ამ საკითხთან დაკავშირებით ამხანაგობამ მიმართა ადგილობრივ თვითმმართველობას და პრობლემის მოგვარებას ახლო მომავალში ელოდებიან.

შიდა გზის კეთილმოწყობა - რესპოდენტების თქმით სწორედ ეს საკითხია ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მოსაგვარებელი, რადგან ეზოში არ არსებობს ბეტონის საფარი, არის სილა და ხრეში. კორპუსთან მისასვლელი გზა (თითქმის) სრულიად დაზიანებულია. ზმათარში წყლის დგას წყლის გუბეები, რის გამოც შეუძლებელია წვიმიან ამინდში ფეხით გადაადგილება. ავტომობილების სიარულის შედეგად კი დგება მტვერი და შეუძლებელია ეზოში დასვენება განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში. კორპუსის მაცხოვრებლებისათვის ეზოს შიდა გზის კეთილმოწყობა წარმოადგენს პრიორიტეტულ საკითხს და მზად არიან ჩაერთონ ადვკატირების პროცესში. 2018 წლის დასაწყისში, მუნიციპალიტეტმა ეზოში დაყარა ,,ანაფრეზი'', თუმცა იმის გამო, რომ ამ გზაზე მძიმე ტექნიკას უწევს გადაადგილება ერთჯერადად შერემონტებამ შედეგი არ გამოიღო და გზა საჭიროებს ძრეულად ბეტონის საფარის დაგებას.

<u>**კორპუსის და მისი შემოგარენის მიმართ უფლებრივი მდგომარეობა:**</u>

ქ.ქუთაისში ნიკეას ქუჩა #21 მდებარე საცხოვრებელი კორპუსების მაცხოვრებლებს საკუთრებაში გააჩნიათ თავიანთი ინდივიდუალური ოთახები, და წითელი ზოლი არის დაკანონებული.

რესპოდენტებს შეხვედრის ბოლოს ეთხოვათ დასახელებული პრობლემებიდან დაესახელებიდან 3 ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელთა მოგვარებაზე დაიგეგმება ერთობლივი ადვოკატირების კამპანია, ესენია:

1. ***კორპუსის გადახურვა;***
2. ***ქვის საამქრო;***
3. ***კორპუსის ირგვლივ სანიაღვრე სისტემის მოწყობა***

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ადვოკატირების კამპანია აღნიშული პრობლემების მოსაგვარებლად, კერძოდ გამსახურდიას ქუჩა #21 ამხანაგობის კრების გამართვა, კრებაზე საკითხების გატანა/განხილვა, ამხანაგობის კრების ოქმის და განცხადების წარდგენა ქ.ქუთაისის მერიაში ამხანაგობების თანადაფინანსების პროგრამით დაფინანსების მოპოვების შესახებ. ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო გარდა იმისა, რომ ამხანაგობას გაუწევს დახმარებას თითოეულ ეტაპზე, გამართავს მრგვალი მაგიდის შეხვედრას ქ.ქუთაისის მერიაში გადაწყვეტილების მიმღები პირებისა და თავად დევნილი მოსახლეობის ჩართულობით, აგრეთვე

წარადგენს სარეკომენდაციო წერილს და პრობლემათა დოკუმენტს, რომლითაც ქ.ქუთაისის მერია და საკრებულო იხელმძღვანელებენ 2019 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის დროს.

4. ფოკუს-ჯგუფის შეხვდრის ანგარიში - ქ. ქუთაისი ზ.ჭავჭავაძის ქუჩა #16ა

ქ. ქუთაისში, დევნილთა კომპაქტურ ცენტრში მდებარე: ქ.ქუთაისი, ზ. ჭავჭავაძის ქუჩა #16ა ფოკუს ჯგუფის შეხვედრა 2018 წლის 3 აპრილს გაიმართაკომპაქტურ ცენტრში მდებარეობს 1 კორპუსი და შექმნილია 1 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა: „რიწა“

<u>კორპუსთან დაკავშირებული საკითხები:</u>

ტრენაჟორები - დევნილთა კომპაქტურ დასახლებაში ცხოვრობს ოცი(20) ოჯახი-სულ 99 ადამიანი, აქედან 29 მოზარდი, 12 მოხუცი და ორი(2) შეზღდული შესაძებლობების მქონე პირი. შეხვედრისას თემის მოსახლეობამ გამოთქვა სურვილი, კორპუსის ეზოში დამონტაჟდეს ტრენაჟორები, რომლითაც ისარგებლებენ, არა მარტო მათი კორპუსის მაცხოვრებლები, არამედ ბინის ირგვლივ განლაგებული ოთხი(4) ცხრა სართულიანი კორპუსის მაცხოვრებლები და კერძო სახლების (კოტეჯების) ბინადრებიც.

კორპუსებში უამრავი ბავშვი/მოზარდი ცხოვრობს ასევე ზრდასრულებიც, რომლებთად ტრენაჟორები/სავარჯიშო მოწყობილობები დაეხმარებათ ჯანსაღი ცხოვრების წესით იცხოვრონ. ტრენაჟორების დადგმამ, ასევე შიეძლება რომ ხელი შეუწყოს ახლაგაზრდების სპორტით დაინტერესებას და მომავალი თაობა უფრო აქტიურად ჩაებას ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვაში.

ეზოს შემოღობვა - როდესაც მოსახლეობას ბინა გადაეცა საცხოვრებლად კორპუსი შემოღობილი იყო ეზოთი, თუმცა წლების წინ, როცა სახლები იძარცვებოდა და კრიმინალის დონე მაღალი იყო ეზოს მოხსენს ღობის დიდ ნაწილი და ჭიშკრებიც. კორპუსის ირგვლივ სატრანსპირტო გზა გადის და უამრავი მანქანა მოძრაობს. იმის გამო, რომ ეზოს აღარცერთი ჭიშკარი არ ქონდა მოსახლეობამ თავისი ძალებით მოახერხა უკანა ჭიშკრის ადგილას ძველი ბლოკებით ადგილის გადაკეტვა, რომ ცოტათი მაინც შეემცირებინათ ეზოში შემომსვვლელი მანქანების რაოდენობა. ამიტომ ბინის მაცხოვრებლებმა გამოთქვა სურვილი, რომ შეკეთდეს არსებული ღობე, რათა ეზოში ბავშვებს უსაფრთხო თამაშის საშუალება ჰქონდეთ და თავშეყრის ადგილიზე მშვიდად დასხდეს მოსახლეობა.

ძელ-სკამების მოწყობა - რესპოდენტებმა გამოთქვეს სურვილი შენობის ირგვლივ ძელ-სკამების მოწყობის აუცილებლობასთან დაკავშირებით. ეზოში მდებარეობს მხოლოდ ორი ძელ-სკამი რაც სრულებით არა არის კორპუსში მცხოვრები 99 ადამიანისთვის. მოსახლეობის უმეტეს ნაწილს შეადგენს მოხუცები, ბავშვები და შშმ პირები. ამიტომაც აუცილებელია, რომ მათი ყოფითი პირობები გაუმჯობესდეს და მინიმუმ თავშეყრისა და დასვენების ადგილი ჰქონდეთ.

რესპოდენტებს შეხვედრის ბოლოს ეთხოვათ დასახელებული პრობლემებიდან დაესახელებიდან 3 ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელთა მოგვარებაზე დაიგეგმება ერთობლივი ადვოკატირების კამპანია, ესენია;

1. *ეზოს შემოღობვა;*
2. *ტრენაჟორების მონტაჟი;*
3. *ძელსკამების დამონტაჟება;*

ქუთაისის ზ. ჭავჭავაძის N 16ა-ში მდებარე საცხოვრებელი კოეპუსის მაცხოვრებლებს საკუთრებაში გააჩნიათ ინადივიადუალური ოთახები და ეზო, დადგენილია წითელი ხაზი.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ადვოკატირების კამპანია აღნიშული პრობლემების მოსაგვარებლად, კერძოდ ზ. ჭავჭავაძის #16ა-ში ამხანაგობის კრების გამართვა, კრებაზე საკითხების გატანა/განხილვა, ამხანაგობის კრების ოქმის და განცხადების წარდგენა ქ.ქუთაისის მერიაში ამხანაგობების თანადაფინანსების პროგრამით დაფინანსების მოპოვების შესახებ. ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო გარდა იმისა, რომ ამხანაგობას გაუწევს დახმარებას თითოეულ ეტაპზე, გამართავს მრგვალი მაგიდის შეხვედრას ქ.ქუთაისის მერიაში გადაწყვეტილების მიმღები პირებისა და თავად დევნილი მოსახლეობის ჩართულობით, აგრეთვე წარადგენს სარეკომენდაციო წერილს და პრობლემათა დოკუმენტს, რომლითაც ქ.ქუთაისის მერია და საკრებულო იხელმძღვანელებენ 2019 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის დროს.

4. ფოკუს-ჯგუფის შეხვდრის ანგარიში - ქ. ქუთაისი ი. ჭავჭავაძის ქუჩა #58

ქ. ქუთაისში, დევნილთა კომპაქტურ ცენტრში მდებარე: ქ.ქუთაისი, ჭავჭავაძის ქუჩა #58 ფოკუს ჯგუფის შეხვედრა 2018 წლის 4 აპრილს გაიმართა კომპაქტურ ცენტრში. ინტერვიუ გაიმართა ამხანაგობების ,,მერცხალი'' წევრებთან.

კორპუსის შემოგარენი:

ძელ-სკამების მოწყობა - რესპოდენტებმა გამოკვეთეს შენობის ირგვლივ ძელ-სკამების მოწყობის აუცილებლობა. ეზოში მდებარეობს ხუთი(5) კორპუსი და მოსახლეობის უმრავლოესობას შეადგენს მოხუცები, ბავშვები და შშმ პირები. ამიტომაც აუცილებელია, რომ მათი ყოფითი პირობები და მინიმუმ თავშეყრისა და დასვენების ადგილი ჰქონდეთ.

გარე განათების მოწყობა ეზოში - რესპოდენტების თქმით აუცილებელია ეზოში მოეწყოს განათება, რადგან ბოლო დროს განსაკუთრებით გახშირებულია ქურდობები. ეზოში არსებობს მხოლოდ ოთხი(4) გარე განათების ლამპიონი, რომელთა რაოდენობა საკმარისი არ არის. ამის გამო ხშირია მანქანების გაძარცვის ფაქტები და ბინების გაქურდვის მცდელობები. ასევე, ღამით ჭირს გადაადგილება ფეხით მოსიარულეთათვის. რესპოდენტთა თქმით ეზოში შიდა განათების, განსაკუთრებით ეზოს უკანა მხარეს განათების მოწყობა აუცილებელია. იმისთვის რომ მდგომარეობა უკეთესობისკენ შეიცვალოს აუცილებელია მინიმუმ ორი(2) ელექტრობოძის დამონტაჟება ლამპიონებით.

კორპუსთან დაკავშირებული საკითხები:

დასახლების ტერიტორიაზე არსებობს ყოფილი სამუსიკო სკოლის სასადილოს შენობა რომელშიც ამჟამად დროებით განსახლებულია სოციალურად დაუცველი და დევნილი ოჯახები. ყოფილი და ამჟამინდელი ხელისუფლების მმართველობის პერიოდში შემოწმდა შენობის მდგრადობა. ხელისუფლება მაცხოვრებლებს პირდებოდა საბავშვო ბაღის დაარსებას. რადგანაც სახელმწიფო ბაღები დასახლებული თემიდან 1,5 კმ. რადიუსში არ არსებობს, მოსახლეობას ბავშვების შეყვანა უწევთ კერძო ბაღებში, რაც მძიმედ აისახება ოჯახების

ბიუჯეტზე. ურავლესობა მოსახლეობისა წარმოადგენენ პენსიონრების, უმუშევრებისდა შშმ პირების ოჯახებს. ბაღის დაარსება დადებითად იმოქმედებს, როგორც დევნილ ასევე მასპინძელი თემის ოჯახების კეთილდღეობაზე.

კორპუსის და მისი შემოგარენის მიმართ უფლებრივი მდგომარეობა

ქ.ქუთაისში ი. ჭავჭავაძის ქუჩა #58 მდებარე საცხოვრებელი კორპუსების მაცხოვრებლებს საკუთრებაში გააჩნიათ მხოლოდ თავიანთი ინდივიდუალური ოთახები.

რესპოდენტებს შეხვედრის ბოლოს ეთხოვათ დასახელებული პრობლემებიდან დაესახელებიდან 3 ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელთა მოგვარებაზე დაიგეგმება ერთობლივი ადვოკატირების კამპანია, ესენია:

1. **ძელსკამების მოწყობა (ყოველი სადარბაზოს წინ 5 ცალი);**
2. **გარე განათების ლამპიონების მონტაჟი;**
3. ***ყოფილი სასადილოშენბის რეაბილიტაცია საბავშვო ბაღის დასაარსებლად;***

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ადვოკატირების კამპანია აღნიშული პრობლემების მოსაგვარებლად, კერძოდ ი. ჭავჭავაძის #58-ში ამხანაგობის კრების გამართვა, კრებაზე საკითხების გატანა/განხილვა, ამხანაგობის კრების ოქმის და განცხადების წარდგენა ქ. ქუთაისის მერიაში ამხანაგობების თანადაფინანსების პროგრამით დაფინანსების მოპოვების შესახებ. ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო გარდა იმისა, რომ ამხანაგობას გაუწევს დახმარებას თითოეულ ეტაპზე, გამართავს მრგვალი მაგიდის შეხვედრას ქ.ქუთაისის მერიაში გადაწყვეტილების მიმღები პირებისა და თავად დევნილი მოსახლეობის ჩართულობით, აგრეთვე წარადგენს სარეკომენდაციო წერილს და პრობლემათა დოკუმენტს, რომლითაც ქ.ქუთაისის მერია და საკრებულო იხელმძღვანელებენ 2019 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის დროს.

5. ფოკუს-ჯგუფის შეხვდრის ანგარიში - ქ. ქუთაისი ი. ჭავჭავაძის ქუჩა #58

ქ. ქუთაისში, დევნილთა კომპაქტურ ცენტრში მდებარე: ქ.ქუთაისი, ჭავჭავაძის ქუჩა #58 ფოკუს ჯგუფის შეხვედრა 2018 წლის 4 აპრილს გაიმართაკომპაქტურ ცენტრში მდებარეობს 4 კორპუსი და შექმნილია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა. ინტერვიუ გაიმართა ამხანაგობის ,,თოლია“ წევრებთან.

კორპუსის შემოგარენი:

სანიაღვრე/სადრენაჟო სისტემის მოწყობა - რესპოდენტებმა გამოკვეთეს შენობის ირგვლივ სანიაღვრე სისტემის მოწყობის საჭიროება, რადგან ნალექიან ამინდში წვიმის წყალი ჩაედინება სარდაფში, რაც მოსახლეობას ხელს უშლის გამოიყენოს სარდაფი როგორც სათავსო ან სხვა დანიშნულებით. სარდაფში დაგუბებული წყალი კი თავის მხრივ იწვევს ნესტს და სირისტს, რაც აზიანებს ბინის კედლებს და აფუჭებს როგორც შენობის ინერიერს ასევე ექსტერიერს. უკვე კორპუსის მესამე სართულამდე ავიდა კედლებზე წყალი, გაჩნდა შავი ობი და გააფუჭა ბათქაში.

გარე განათების მოწყობა ეზოში - მოსახლეობამ გამოთქვა სურვილი, რომ აუცილებელია ეზოში დამონტაჟდეს გარე განათების ბოძები, რადგან ბოლო დროს განსაკუთრებით გახშირებულია ქურდობები, მაგ: რამდენიმე თვის წინ ი. ჭავჭავაძის ქუჩაზე გაძარცვეს მაღაზია „ბიბლუსი“. ეზოში კი დგას მხოლოდ 2 ლამპიონი. რესპოდენტთა თქმით, შიდა განათების, განსაკუთრებით ეზოს უკანა მხარეს, მოწყობა აუცილებელია. ამ კუთხით ამხანაგობას ჯერ-ჯერობით არ მიუმართავს განცხადებით ქ. ქუთაისის მერიისათვის. თუმცა მოსახლეობა გამოთქვამს მზაობას, რომ საკითხის შესახებ მოხდეს საჭირო ორგანოებთან მუშაობა.

კორპუსთან დაკავშირებული საკითხები:

სარდაფი - კორპუსის სარდაფი სავსეა წყლით და სამშენებლო ნარჩენებით! კორპუსის რამოდენიმე ოჯახი გამოყვანილია პირველი სართულის ოთახებიდან და იგივე ბინაში სხვა სართულზე ცხოვრობენ ქირით. სარდაფში წყლის დაგროვება გამოწვეულია იმით, რომ კურპუსის ირგვლივ არ არსებობს სანიაღვრე და სადრენაჟო სისტემა. პირველ სარულზე კედელები დაბზარულია და დაშორებულია საყრდენ კედელს. კედლებზე და იატაკზე ყველაგან შესამჩნევია ნესტი, მისგან გამოწვეული შავი ობი, რაც საფრთხეს უქმნის შენობის მდგრადობას და მაცხოვრებლების ჯანმრთელობას! რაც შეეხება სამშენებლო ნანრჩენებს მათი გამოტანა სარდაფიდან ძალიან მძიმე შრომას მოითხოვს და მოსახლეობა თავისი ძალებით ვერ ახერხებს მის გატანას.

ამიტომაც მოგმართავთ თხოვნით, დაგვეხმაროთ პრობლემის მოგვარებაში. საჭიროა რომ სარდაფში არსებული წყალი ამოიტუმბოს, ნარჩენებისგან განთავისუფლდეს, ჩაიდგას დრენაჟები და მოხდეს ავარიული კედლების გამაგრება. არსებული პრობლემის მოსაგვარებლად მივმართეთ 2016-2017 წლებში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსათვის, ასევე 2017წელს ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურს, ბოლოს კი 2018 წლის თებერვალში ხელახლა მივმართეთ ლტოლვილთა სამინისტროს, თუმცა ჩვენი პრობლემა დღემდე მოუგვარებელი რჩება.

აივნები/ექსტერიერი -რესპოდენტების მხრიდან გამოიხატა სურვილი და საჭიროება, კორპუსებზე მოეწოს აივნები. ამ მხრივ ამხანაგობებს მოძიებული აქვთ ინფორმაცია, კერძოდ პროეტის/ხარჯთაღრიცხვის მომზადების შემთხვევაში, ქ. ქუთაისის მერია გასცემს აივნების მოშენების ნებართვას.

ხელოვნური ბარიერების მოწყობა -კორპუსი მდებარეობს ჭავჭავაძეზე, ერთ-ერთ ყველაზე გადატვირთულ ქუჩაზე ქალაქში. აქ არის ავტო სადგური და მაკდონალდსი. კორპსისი ირგვლივ მთავარი დაზა და ჩიხებია სადაც გახსნილია საავტომობიოლო მოძრაობისტვის გზები. ამიტომ დასახლების მოცხოვრებლებმა მოითხოვეს რომ მოსახლეობის უსაფრთოებისთვის კარგი იქნება თუ დამონტაჟდება საგზაო ხელოვნური ბარიერები, რაც შეანელებდა ავტომობილთა სწრაფ გადაადგილებას და ხელს შუწყობს ფეხით მოსიარულეთა მშვიდად გადაადგილებას.

კორპუსის და მისი შემოგარენის მიმართ უფლებრივი მდგომარეობა:

რესპოდენტებს შეხვედრის ბოლოს ეთხოვათ დასახელებული პრობლემებიდან დაესახელებიდან 3 ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელთა მოგვარებაზე დაიგეგმება ერთობლივი ადვოკატირების კამპანია, ესენია:

1. **წყლის სადრენაჟო/სანიაღვრე სისტემების შეცვლა/მოწესრიგება;**
2. ***სარდაფიდან წყლის ამოტუმბვა და ნარჩენებისაგან განთავისუფლება;***
3. ***სადარბაზოების ინტეიერ/ესტერიერის მოწესრიგება;***

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ადვოკატირების კამპანია აღნიშული პრობლემების მოსაგვარებლად, კერძოდ ჭავჭავაძის გამზირი #58-ში ამხანაგობის კრების გამართვა, კრებაზე საკითხების გატანა/განხილვა, ამხანაგობის კრების ოქმის და განცხადების წარდგენა ქ.ქუთაისის მერიაში ამხანაგობების თანადაფინანსების პროგრამით დაფინანსების მოპოვების შესახებ. ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო გარდა იმისა, რომ ამხანაგობას გაუწევს დახმარებას თითოეულ ეტაპზე, გამართავს მრგვალი მაგიდის შეხვედრას ქ.ქუთაისის მერიაში გადაწყვეტილების მიმღები პირებისა და თავად დევნილი მოსახლეობის ჩართულობით, აგრეთვე წარადგენს სარეკომენდაციო წერილს და პრობლემათა დოკუმენტს, რომლითაც ქ.ქუთაისის მერია და საკრებულო იხელმძღვანელებენ 2019 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის დროს.

6. ფოკუს-ჯგუფის შეხვდრის ანგარიში - ქ. ქუთაისი ოცხელის ქუჩა #2

ქ. ქუთაისში, დევნილთა კომპაქტურ ცენტრში მდებარე: ქ.ქუთაისი, ოცხელის ქუჩა #2 ფოკუს ჯგუფის შეხვედრა 2018 წლის 4 აპრილს გაიმართა კომპაქტურ ცენტრში მდებარეობს 5 კორპუსი და შექმნა 1 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა: „მეგობრობა". იმტერვიუ გაიმართა ამგნაგობა ,,მეგობრობა"-ს წევრებთან.

კორპუსთან დაკავშირებული საკითხები:

ჟოლობების გამართვა- კორპუსის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა, რომელიც ყველაზე მეტად აწუხებს დასახლების მაცხოვრებლებს არის ცუდად დამონტაჟებული სანიაღვრე მილები-ჟოლობები.

კერძოდ, არასწორად დამონტაჟებული ჟოლობები ნალექიან ამინდში წყალს არ ატარებს, სველდება როგორც კორპუსის გარეთა კედლები, ასევე შიგნითა მხრიდან ჩნდება ბზარები და ნაპრალები. ზოგან ჩამოინგრა ბათქაში და კედლები ნელ-ნელა იწყებს ნგრევას. ოთხივე სართულის ყველა ოჯახის კედლები სველდება, სადაც ჟოლობებია დამონტაჟებული, ეს კი 100-მდე ოჯახს აზიანებს (დასახლებაში სულ 109 ოჯახი ცხოვრობს). ასევე, სახურავიდან ჩამოსული წყალი ჩაედინება სარდაფშიც. აქ დაგროვილი წყალი დამატებითი სირისტის და ნესტის გამომწვევია და შენობის მესამე სართულამდე სულ სველია კედლები, ხოლო სარდაფში არსებული წყალი ხელს უშლის მოსახლეობას თავიანთი სურვილისამებს გამოიყენონ სარდაფი.

იმის გამო, რომ სახურავიდან ჩამოსული ნალექს სანიაღვრე მილები ვერ ატარებს და კედლები სველდება გაჩნდა ნესტი და კედლებს გაუჩნდა შავი ობი. სირისტის გამო ბინის მაცხოვრებელბეს ჯანმრთელობის პრობლემებიც შეექმნა. მოსახლეობის უმრავლესობა, კი სოციალურად დაუცველები არიან და არ აქვთ საკმარისი შემოსავლები რომ ცოხვრების საარსებო მინიმუმისთვის განკუთვნილი თანხები მკურნალობისთვის დახარჯონ.

ბორდიულები - უხარისხო მასალით (უხარისხოდ) გაკეთებული ბორიულები შენობის ირგვლივ დაზიანდა და ჩაიწია. ბორდიულების ჩაწევამ გამოიწვია მათ ორმოებად ქცევა და მათში წყალი გროვდება, რაც საფრთეს უქმნის კორპუსის საძირკველს.

ძელსკამები - რესპოდენტების თქმით აუცილებელია ეზოში ძელსკამების დამატება, რადგან დასახლებაში ცხოვრობს 109 ოჯახი და არსებული სკამები არ არის საკმარისი მოსახლეობისთვის, რომ როცა ეზოში ჩამოვლენ დასვენების და თავშეყრის ადგილი ჰქოდეთ. განსაკუთრებით კი ეს აუცილებელია მოხუცებისთვის და ბავშვებისთვის.

ხელოვნური საგზაო ბარიერების დამონტაჟება - აღნიშნული დასახლება მდებაორებს ოცხელის N2-ში კლინიკური საავადმყოფოს გვერდით სადაც ხშირი ორმხრივი საგზაო მოძრაობაა. დასახლებაში 109 ოჯახია და საკმაოდ ბევრი ბავში. ბავშვთა და ზოგადად ფეხით მოსუარულეთა უსაფრთხოების მიზნით მოსახლეობა ითხოვს ხელოვნური ბარიერების გადგამას. საკითხის მოსაგვარებლად მოსახლეობამ მიართა ქუთასის მერიას, თუმცა მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, რაგდან მათი დამონტაჟება ხელს შეუშლიადა სასწრაფო მანქანების გადაადგილებას.

კორპუსის შემოგარენი:

სარდაფი - სარდაფი სავსეა წყლით და ასევე მასში დარჩენილია სამშენებლო ნარჩენები. კორპუსის პირველი სართულზე მცოვრები ოჯახები სარდაფში დაგუბებული წლის გამო ყველაზე მეტად ზარალდებია. ხოლო სამშენებლო მნარჩენები არა მარტო გამოუყენებელს ხდის სარდაფს, არამედ სანიტარული თვალსაზრისითაც საზიანოა მაცხოვრებლებისთვის. ასევე, მობინადრეები ვერ ახერხებენ სარდაფების სათავსოებად გამოყენებას. რესპოდენტების მხრიდან გამოიხატა სურვილი სარდაფების მოწყობის შესახებ. მოსახლეობამ ასევე გამოთქვა სურვილი, რომ სადაფებს, შენობის უკანა მხრიდან, გაუკეთდეს საჰაეროები რათა ჰაერმა იმოძრაოს და მოხდეს ნესტის ამოშრობა.

ეზოში სარდაფითან გამოტანილი სამშენებლო ნარჩენები საჭიროებს გატანას და უნდა მიემართოს ქ.ქუთაისის მერიის ნარჩენების მართვის სამსახურს.

კანალიზაციის მილები - მოსახლეობის დაუდევრობის გამო აესებული კანალიზაციის მილები ვერ ატარებს წყალს, ხშრად იჭედება რაც მაცხოვრებლებს ძალიან დიდ პრობლემებს და ანტისანიტარიას უქმნის. ამიტომ, რესპოდენტთა თქმით კარგი იქნება თუ არსებული მილები ახლით შეიცვლება, გაწმენდის შემთევაშიც ისინი დიდხნს ვერ გაძლებენ რაგდან საკმაოდ დიდი ხნის წინ დამონტაჟებული და წვრილი მილებია.

წყალმომარაგების პრობლემა - რესპოდენტების მხრიდან გამოიხატა წუხილი იმის შესახებაც, რომ კორპუსებში დღის განმავობაში წყლის ნაკადა არ არის ძლიერი. წყალი, ნაკადის სუსტი დეინების გამო არ ცხელდება და მოსახლეობა ვერ ახერხებს ცხელი წლით სარგებლობას.

კორპუსის და მისი შემოგარენის მიმართ უფლებრივი მდგომარეობა:

რესპოდენტებს შეხვედრის ბოლოს ეთხოვათ დასახელებული პრობლემებიდან დაესახელებიდან 3 ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელთა მოგვარებაზე დაიგეგმება ერთობლივი ადვოკატირების კამპანია, ესენია:

1. *ჟოლობების შეცვლა/სწორად დამონტაჟება* ;
2. *სანიაღვრე ჭების გასუფთავება;*
3. *სარდაფის გასუფთავება;*

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ადვოკატირების კამპანია აღნიშული პრობლემების მოსაგვარებლად, კერძოდ ოცხელის ქუჩა #2-ში ამხანაგობის კრების გამართვა, კრებაზე საკითხების გატანა/განხილვა, ამხანაგობის კრების ოქმის და განცხადების წარდგენა ქ.ქუთაისის მერიაში ამხანაგობების თანადაფინანსების პროგრამით დაფინანსების მოპოვების შესახებ. ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო გარდა იმისა, რომ ამხანაგობას გაუწევს დახმარებას თითოეულ ეტაპზე, გამართავს მრგვალი მაგიდის შეხვედრას ქ.ქუთაისის მერიაში გადაწყვეტილების მიმღები პირებისა და თავად დევნილი მოსახლეობის ჩართულობით, აგრეთვე წარადგენს სარეკომენდაციო წერილს და პრობლემათა დოკუმენტს, რომლითაც ქ. ქუთაისის მერია და საკრებულო იხელმძღვანელებენ 2019 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის დროს.

რეკომენდაციები:

1. **დევნილი ოჯახები, რომლებიც კოტეჯის ტიპის დასახლებაში ცხოვრობენ და აქვთ შექმნილი ამხანაგობა, მათ არ შეუძლიათ ისარგებლონ მუნიციპალური სერვისებით მსგავსად სხვა დევნილებისა, რომლებიც საერთო ბინებში ცხოვრობენ. სამწუხაროდ კანონი არ განსაზღვრავს კერძო დასახლებაში მაცხოვრებელი მოსახლეობისთვის, პროგრამა „კორპუსით“ სარგებლობის შესაძლებლობას, რაც ნიშნავს იმას, რომ დევნილები, რომელებიც ე.წ. კოტეჯების ტიპის სახლებში ჩაასახლეს ვერ ისარგებლებენ ამხანაგობებისთვის განსზღვრული პროგრამებით. შესაბამისად მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის დონეზე გაკეთდეს დათქმა, რომ კერძო დასახლებაში, სადაც დევნილი მოსახლეობა არის ჩასახლებული და ამასთან ამხანაგობაც არის შექმნილი ჰქონდეთ შესაძლებლობა ისარგებლონ ამხანაგობისთვის განსაზღვრული პროგრამებით.** (ეს რეკომენდაცია რომ ამოვიღო ნაცვლად რა ჩავსვა? იმიტომ რომ ამ თემებიდან ყველა ბინრებში ცხოვრობს და კოტეჯებში არცერტი არა)
2. მნიშვნელოვანია გაგრძელდეს საინფორმაციო შეხვედრები დევნილებთან სხვა კომპაქტურ ცენტრებში, რათა მათაც ჰქონდეთ ინფორმაცია მუნიციპალური სერვისების შესახებ, რაც გარკვეულწილად უზრუნველყოფს დევნილი მოსახლეობის ჩართულობას მუნიციპალურ დონეზე, რაც თავისმხრივ მუნიციპალიტეტს მისცემს შესაძლებლობას ჰქონდეს ინფორმაცია იმ ბინების საჭიროებების შესახებ, სადაც დევნილი მოსახლეობა ცხოვრობს;
3. მნიშვნელოვანია დევნილთა კომპაქტური ცენტრების ბაზაზე შექმნილი სათემო ორგაზნიაციები გაძლიერდეს და მათი გააქტიურების გზით დაიწყოს დევნილებმა მათი პრობლემების ადვოკატირება და ლობირება ადგიობრივ დონეზე;
4. მნიშვნელოვანია კოორდინირებული მუშაობა იმ აქტორებს შორის, რომელთა პირდაპირი თუ ირიბი ვალდებულებაა დევნილთა პრობლემების მოგვარება და მათთვის სათანადო საცხოვრებელი პირობების შექნა.